მეტივეები

შალვა აფხაიძეს

სულ ოთხნი იყვნენ... სახედინჯები,
ქაფიან ჩქერში ზვირთის მჩეხელი...
სულ იყვნენ ოთხნი... იაფინჯები,
ნიგვზის ფოთლები, სველი ფეხები...
მოჰყავდათ ტივი ტურფად შეკრული,
ვით კიდობანი ნესტანჯარისა;
ნაციხარები ჩანდა ბედკრული,
ლურჯი ყანები... ტყე ფიჭვნარისა...

წინ ეგდო მტკვარი და კლდე შვეულა,
ცხვრის ფარასავით რიყე ეყარა;
მოჰყავდათ ტივი მთას აშვებული,
თითქოს მოჰყავდათ ბრძნულად ქვეყანა.

გამოიარეს ვიწრო ალაგი
და ფაფასავით სქელი მორევა,
შორს დაინახეს დიდი ქალაქი,
აშენებული ნაძვის მორებით.

და გაუღიმეს ერთიმეორეს...
და როცა ტალღამ დაჰკრა ყვირილით,
მეტივეები ჰგვანდნენ მეომრებს,
ტალღას აპობდნენ ორთაყვირებით.

მოსაღამურდა.
ხვადი მგლები დასხდნენ შავადა,
ლუკმას ხლეჩავენ დამკლავებითა;
ღვინთნ ჯამში ნარგიზივით მთვარე ჩავარდა,
ივსება მტკვარა ვარსკვლავებითა..,